# ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა  №1/გ

ქ. მცხეთა

01 სექტემბერი 2014 წელი

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N1233 განკარგულების თანახმად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

ერთი მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტი, წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის გამგებლის ზურაბ აბესაძის სახით, მეორეს მხრივ შპს „საქართველოს მწარმოებელთა ჯგუფი", მისი დირექტორის მიხეილ გურგენიძის სახით შემდგომში „მიმწოდებელი" ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

## 1.ხელშეკრულების საგანი

1.1 სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი სახლების სახურავებისთვის გადასახური მასალის შესყიდვა (CPV44100000) (ინვოისი თან ერთვის).

## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 90 087 (ოთხმოცდაათიათასოთხმოცდაშვიდი) ლარი.


## 2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

2.1 საქონლის მიწოდების ვადაა 2014 წლის 25 სექტემბრის ჩათვლით.

2.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 90 087 (ოთხმოცდაათიათასოთხმოცდაშვიდი) ლარი.


## 3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.

## 4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 „მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას:

4.1.1 მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:

4.2.2 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში.

## 5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 თუ „მომწოდებელი" არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს, „შემსყიდველი" წერილობითი ფორმით აფრთხილებს დაიცვას ხელშეკრულების პირობები.

5.2 ვალდებულების კვლავ შეუსრულებლობის შემთხვევაში „შემსყიდველს" უფლება აქვს განიხილოს ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის საკითხი.

5.3 შესყიდვის არაჯეროვნად ან არშესრულების და ვადაგადაცილების შემთხვევაში „შემსყიდველი" უფლებამოსილია „მომწოდებელს" არ აუნაზღაუროს საქონლის ღირებულება და დააკისროს პირგასამტეხლო მისაწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

## 6. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

6.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

## 7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

7.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 8. ფორს – მაჟორი

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

## 9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1 წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ურთიერთობის მოლაპარაკების საფუძველზე.

9.2 თუ „მიმწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## 10. სხვა პირობები

10.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

10.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

10.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

## 11 ხელშეკრულების პირობების კონტროლი

11.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს განახორციელებს მცხეთის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის, ქონების მართვის განყოფილების უფროსი ლევან ქიტუაშვილი.

## 12 ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2014 წლის 30 ოქტომბრის ჩათვლით.

## 13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი

მცხეთის მუნიციპალიტეტი
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის 7

ბანკი: „ლიბერთი ბანკი"
ბანკის კოდი: LBRTGE22

ა/ა GE11LB0120118541380000
ს/კ 236098824
ტელ: 2512696
მუნიციპალიტეტის გამგებელი

ზ. აბესაძე

მიმწოდებელი

შპს „საქართველოს მწარმოებელთა ჯგუფის"
მის: ქ. თბილისი, დემეტრე თავდადებულის 18, ბ
ბანკი: თი ბი სი ბანკი
ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ა GE62TB1100000333467814
ს/კ 205085851
ტელ: 577747071
დირექტორი

მ. გურგენიძე